ინტერნეტ, IPTV, VOIP მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 01 იანვარს

მხარეები:	**ოპერატორი**	**აბონენტი**
სახელი/სახელწ./ UID:	შპს "მაგთიკომი",	
საიდ./პირადი N	204876606	
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7	
საკონტაქტო ტელ.:	(995 32) 217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი)	
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@magticom.ge	

ოპერატორის საბანკო რეკვიზიტები: GE73VT6600000000423607; GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901;

აბონენტის (იურიდიული პირის შემთხვევაში ან თუ ფიზიკური პირის სახელით ხელმომწერი სხვა პირია) უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები:

სახელი	**გვარი**	**პირადი ნომერი**

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ოპერატორი უზრუნველყოფს ინტერნეტ ან ინტერნეტთან ერთად IPTV ან/და VoIP მომსახურებების გაწევას წინამდებარე დოკუმენტის პირობების შესაბამისად.

1.2 აბონენტის მიერ შეკვეთილი კონკრეტული მომსახურების სახეობა, საფასური და სხვა სპეციფიკური პირობები მოცემულია დანართში. IPTV მომსახურების არხების ჩამონათვალი მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე და დანართის სახით ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

1.3 მომსახურების მიწოდება ხორციელდება: 1. წინამდებარე დოკუმენტის; 2 „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების", 3. „ძირითადი ინტერნეტ, IPTV, VOIP მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების"; 4. „კონფიდენციალურობის პოლიტიკის" და 5. „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების" საფუძველზე. ჩამოთვლილი დოკუმენტები, წინამდებარე დოკუმენტთან ერთად წარმოადგენენ ერთიან (მთლიან) ინტერნეტ, IPTV, VOIP მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულებას (შემდეგში - ხელშეკრულება). აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე (www.magticom.ge).

2. ხელშეკრულების გაფორმება

2.1 ხელშეკრულების გაფორმება გულისხმობს თანმიმდევრულ შემდეგ ორ ეტაპს: I ეტაპი - მხარეთა შორის წინამდებარე დოკუმენტის გაფორმება და II ეტაპი - 2.2 პუნქტის შესაბამისად აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების პირობების გაცნობა და მასზე ელექტრონულად დათანხმება.

2.2 აბონენტმა, მისი თანხმობა ხელშეკრულების პირობებზე უნდა დაადასტუროს ელექტრონულად, კერძოდ: აბონენტის IP მისამართიდან ნებისმიერ ვებ-ბრაუზერში (მაგ: Google Chrome, Mozilla Firefox და ა.შ.) შესვლისას, ხელმისაწვდომი ხდება ხელშეკრულების ტექსტი და ტექსტის ბოლოს ღილაკის - „კოდის მიღება" თითის დაჭერის შემდგომ, წინამდებარე დოკუმენტში აბონენტის მიერ მითითებულ მობილურის ნომერზე მოკლე შეტყობინების სახით აბონენტს გაეგზავნება კოდი, რომლის შესაბამის ველში შეყვანის შემდეგ, აბონენტის მიერ ელექტრონული სახით ხელშეკრულების პირობებზე თანხმობა/აქცეპტი (ღილაკზე „გავეცანი და ვეთანხმები" თითის დაჭერა) წარმოადგენს ნების გამოვლენას და უთანაბრდება აბონენტის პირად ხელმოწერას. კოდის დაცვასა და გაუმჟღავნებლობაზე ერთპიროვნულად პასუხისმგებელია აბონენტი. შესაბამისად აბონენტის კოდის საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ჩაითვლება აბონენტის მიერ განხორციელებულად და მის შედეგ(ებ)ზე სრულად პასუხისმგებელია აბონენტი.

2.3 მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების/დამატებითი სერვისის მიღებისას, ოპერატორის მიერ შეთავაზებული ფორმით/პირობებით (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება, USSD, პორტალი, კოდური სიტყვა, ელექტრონულ მოწყობილობაზე ხელმოწერა - signature pad, ელ. ფოსტა) აბონენტის მხრიდან ნების გამოვლენა პორტალიდან, სააბონენტო ნომრიდან/საკონტაქტო ნომრიდან/ელ.ფოსტიდან ან ნებისმიერ სხვა ფორმით განხორციელებული დასტური უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას კონკრეტულ ქმედებაზე, პირად ხელმოწერას მატერიალურ დოკუმენტზე და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა.

3. აბონენტის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება

ოპერატორი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მოახდენს აბონენტის შესახებ პერსონალურ მონაცემების დამუშავებას (კერძოდ, აბონენტის ვინაობის, პირადი ნომრის, მისამართის და სხვა ინფორმაციის, მათ შორის,

კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება), რაც ემსახურება, თუმცა არ შემოიფარგლება აბონენტისათვის მომსახურების გაწევის მიზნებით. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი აცხადებს თანხმობას, რათა მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ოპერატორის მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. აბონენტს უფლება აქვს ოპერატორისათვის მიმართვის გზით გამოიხმოს აღნიშნული თანხმობა ნებისმიერ დროს, რამაც შეიძლება გამოიწვევს მისთვის ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა.

4. მომსახურების აპარატურის მიღება-ჩაბარება

4.1 აბონენტს მომსახურებ(ებ)ის მიღების მიზნით და ამ მომსახურებ(ებ)ის მიწოდების სრული პერიოდის განმავლობაში, დროებით სარგებლობაში, გადაეცა ოპერატორის კუთვნილი შემდეგი დასახელებისა და მახასიათებლების მქონე აპარატურა, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში:

აპარატურის დასახელება	**აპარატურის MAC მისამართი**	**აპარატურის სერიული ნომერი**

4.2 ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გადაცემულ აპარატურაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა 6 (ექვსი) თვის ოდენობით. ზოგადი საგარანტიო პირობები მოცემულია „მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებში“.

4.3 ოპერატორის წარმომადგენლებმა აბონენტს სრულად გააცნეს და აუხსნეს მომსახურების აპარატურის მუშაობის, გამოყენების, შენახვის და მოვლის წესები. აბონენტი ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო მომსახურების აპარატურის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების დაცვის წესებს.

4.4 ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მომსახურების აპარატურის დემონტაჟი, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას ოპერატორის წარმომადგენელი მომსახურების მიღების ფართზე მომსახურების აპარატურის დემონტაჟისთვის.

5. ზოგადი დებულებები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2.1 პუნქტით განსაზღვრული წესით გაფორმების მომენტიდან და მოქმედებს მის შეწყვეტამდე. წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად, საიდანაც ერთი გადაეცემა აბონენტს ხელმოწერისთანავე.

5.2 აბონენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ზუსტად აღიქვამს ამ ხელშეკრულების პირობებს/შინაარსს, სამართლებრივ შედეგებს და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას (ეთანხმება მას). ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

5.3 აბონენტი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს ხელშეკრულებაში მის მიერ მითითებული საკონტაქტო მონაცემების ნამდვილობას და სისწორეს.

5.4 თუ ხელშეკრულებას აბონენტის ნაცვლად ხელს აწერს მომსახურების მისამართზე მყოფი სხვა პირი, იგულისხმება რომ ამ პირს აბონენტისაგან გააჩნია სრული უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას აბონენტის სახელით.

ოპერატორის წარმომადგენელი **აბონენტი/უფლებამოსილი პირი**